საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9617/01
09/10/2020

9617-01-2-202010091504

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

სამინისტროში 2020 წლის 16 სექტემბერს წარმოდგენილ წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში, წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიის ეროზიისგან დაცვის მიზნით მდინარე ფოცხოვის სანაპიროს გასწვრივ, ნაპირდაცვითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ ნაპირსამაგრი ღონისძიებების კონსტრუქციული გადაწყვეტილება არ შეესაბამება პროექტის საინჟინრო ჰიდროლოგიურ მონაცემებს. მაგალითად: სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ გაბიონის მთლიანი სიმაღლე შეადგენს - 4,3 მეტრს, ამასთან სკრინინგის განცხადებაში მოცემული ჰიდროლოგიური გაანგარიშებების მიხედვით, მდინარე ფოცხოვის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე საპროექტო ნაპირსამაგრის უბანზე - 4,96-5,00 მეტრის ტოლია.

მითითებული საკითხი სკრინინგის განცხადების მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს, ვინაიდან ირკვევა, რომ საპროექტო ნაგებობა ვერ უზრუნველყოფს ავარიული უბნის დაცვას და მის მდგრადობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტრო პროექტთან დაკავშირებით წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს წერილში მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044